განმარტებითი ბარათი

„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარება)“ თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აგვისტოს N1246 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 30 აგვისტოს N234 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 9-10 სექტემბერს გაიმართა მოლაპარაკება საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარება) პროექტის ტექსტის მიღების მიზნით.

აზიის განვითარების ბანკი (ADB) საქართველოსთვის გამოყოფს საკრედიტო რესურსს მცირე მასშტაბიანი პროექტების დაფინანსების ინსტრუმენტის (Small Expenditure Financing Facility (SEFF)) გზით მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარებისთვის. SEFF მხარს დაუჭერს შერჩეული პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, დეტალური დიზაინის, უსაფრთხოების დოკუმენტების მომზადებას, ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის გაკეთებას და პროექტის მომზადებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების განხორციელებას.

SEFF-ის მეშვეობით დასაფინანსებელი პრიორიტეტული სექტორები მოიცავს შემდეგს: საჯარო ფინანსების მართვა; ენერგეტიკა; ტრანსპორტი, ლოგისტიკა; წყალი და სხვა ურბანული ინფრასტრუქტურა; სოფლის მეურნეობა და ბუნებრივი რესურსები; განათლება და ჯანდაცვა.

SEFF-ი შექმნილია, რათა დააფინანსოს მცირე მასშტაბიანი აქტივობები, რაც დაკავშირებულია პროექტის იდენტიფიცირებასთან, მომზადებასა და განხორციელების მხარდაჭერასთან. ინდივიდუალური აქტივობებისთვის ქვესესხები გამოიყოფა ADB-ის მიერ მსესხებლის მიმართვის საფუძველზე.

SEFF-ის ფარგლებში გამოყოფილი პირველი ტრანშით დაფინანსდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად ტექნიკური და ფინანსური შესწავლა (feasibility study), მათ შორის, პროექტის დაფინანსების ფორმებისა და აეროპორტის განვითარების ოპერაციებში კერძო სექტორის ჩართვის შეფასება, სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების ზომების, ასევე გენდერის შეფასება და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული ქვესესხი შესაბამისობაში მოდის ADB-ის ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგიასთან 2024-28.

ADB-ის მიერ გამოყოფილი SEFF-ის ფინანსური პირობებია:

- სესხის თანხა: 13,535,000 ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 5 წელი (სესხის ძირითადი თანხისა და საპროცენტო ხარჯის მომსახურება ხდება ერთიანად 5 წლის შემდგომ);
- საპროცენტო განაკვეთის ტიპი: ცვლადი, 6 თვიან EURIBOR-ზე (07.11.2024 მდგომარეობით 2.858%) დაფუძნებული + 0.30% მარჟა;
- ადმინისტრირების გადასახდელი: სესხის თანხის 0.15% (გადაიხდება SEFF-ის ეფექტურობის თარიღში ან დაფინანსების ინსტრუმენტის გაფორმებიდან 60 დღეში, რომელიც უფრო ადრე დადგება).

SEFF-ის ხელმისაწვდომობის პერიოდია: 2024 –2029 წწ.

SEFF-ის აღმასრულებელი ორგანიზაციაა იქნება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო უშუალოდ ტრანშების შემთხვევაში შესაბამისი სამინისტრო/უწყება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დაფინანსების ინსტრუმენტის ფარგლებში მოხდება ინდივიდუალური პროექტებისთვის აქტივობის ქვესესხების (Activity Sub-Loan) გამოყოფა. ამ ეტაპზე, ტრანში 1-ისთვის გამოყოფილი იქნება 2,256,000 ევრო და მისი განხორციელების პერიოდია SEFF-ის დამტკიცებიდან 5 წელი.

პირველი ტრანშის შემთხვევაში აღმასრულებელი ორგანიზაცია იქნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 7 ოქტომბრის N1434 განკარგულებისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2024 წლის 7 ოქტომბრის N264 ბრძანების საფუძველზე 2024 წლის 5 ნოემბერს ხელი მოეწერა „საქართველოს და აზიის განვითარების ბანკს (ADB) შორის დაფინანსების შეთანხმებას (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მწვანე და ინკლუზიური რეგიონული კარიბჭის განვითარება)“.